

**მონრეალის 1999 წლის 28 მაისის
კონვენცია
საერთაშორისო საჰაერო გადაზიდვის
ზოგიერთი წესის უნიფიკაციის შესახებ
(მონრეალის კონვენცია)**

წინამდებარე კონვენციის მონაწილე სახელმწიფოები,

აღიარებენ რა იმას, თუ რა მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს საერთაშორისო საჰაერო გადაზიდვის ზოგიერთი წესის უნიფიკაციის შესახებ ვარშავაში 1929 წლის 12 ოქტომბერს დადებულ კონვენციას, შემდგომში „კონვენციად“ წოდებულს, და სხვა მასთან დაკავშირებულ დოკუმენტებს საერთაშორისო კერძო საჰაერო სამართლის მოწესრიგების საქმეში,

აღიარებენ რა ვარშავის კონვენციისა და მასთან დაკავშირებული დოკუმენტების მოდერნიზაციისა და კონსოლიდაციის აუცილებლობას,

აღიარებენ რა საერთაშორისო საჰაერო გადაზიდვისას მომხმარებელთა ინტერესების დაცვის უზრუნველყოფის დიდ მნიშვნელობას და რაც შეიძლება სრული ანაზღაურების პრინციპის საფუძველზე სამართლიანი კომპენსაციის აუცილებლობას,

კვლავ ადასტურებენ რა, რომ სასურველია საერთაშორისო საჰაერო ტრანსპორტით მგზავრობის მოწესრიგებული განვითარება და მგზავრების, ბარგისა და ტვირთის შეუფერხებელი გადაადგილება საერთაშორისო სამოქალაქო ავიაციის შესახებ ჩიკაგოს 1944 წლის 7 დეკემბრის კონვენციის პრინციპებისა და მიზნების შესაბამისად,

დარწმუნებული არიან რა იმაში, რომ სახელმწიფოთა კოლექტიური მოქმედება საერთაშორისო საჰაერო გადაზიდვის მარეგულირებელი ზოგიერთი წესის შემდგომი ჰარმონიზაციისა და კოდიფიკაციისათვის ახალი კონვენციის ფორმით ყველაზე ადეკვატური საშუალებაა ინტერესთა სამართლიანი ბალანსის მისაღწევად,

შეთანხმდნენ შემდეგზე:

თავი I. ზოგადი დებულებები

**მუხლი 1
გამოყენების სფერო**

1. წინამდებარე კონვენცია გამოიყენება ადამიანების, ბარგისა და ტვირთის ნებისმიერი საერთაშორისო გადაადგილებისას, რომელიც ხორციელდება საჰაერო ხომალდის მეშვეობით ანაზღაურების საფასურად. იგი გამოიყენება აგრეთვე უფასო გადაზიდვის მიმართაც, რომელიც ხორციელდება ავიასატრანსპორტო საწარმოს საჰაერო ხომალდის მეშვეობით.
2. საერთაშორისო გადაზიდვა წინამდებარე კონვენციის მნიშვნელობით ეწოდება ყოველგვარ გადაზიდვას, რომლის დროსაც, მხარეთა გადაწყვეტილების თანახმად, საწყისი ადგილი და დანიშნულების ადგილი, იმის მიუხედავად არის თუ არა წყვეტა გადაზიდვისას ან გადატვირთვა, მდებარეობს ან ორი მონაწილე სახელმწიფოს ტერიტორიაზე, ან ერთსა და იმავე მონაწილე სახელმწიფოს ტერიტორიაზე, თუ შეთანხმებული გაჩერება გათვალისწინებულია სხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე, თუნდაც ეს სახელმწიფო არ იყოს მონაწილე სახელმწიფო. ამგვარი გაჩერების გარეშე ერთი და იმავე მონაწილე სახელმწიფოს ტერიტორიაზე მდებარე ორ

პუნქტს შორის გადაზიდვა წინამდებარე კონვენციის მნიშვნელობით საერთაშორისო გადაზიდვად არ განიხილება.

3. გადაზიდვა, რომელიც რამდენიმე შემდგომი გადამზიდველის მეშვეობით ხორციელდება, წინამდებარე კონვენციის გამოყენების თვალსაზრისით მიიჩნევა ერთიან გადაზიდვად, თუ მას მხარეები განიხილავდნენ როგორც ერთ ოპერაციას, იმისდა მიუხედავად, იყო თუ არა იგი გაფორმებული ერთი ხელშეკრულების ან რამდენიმე ხელშეკრულების სახით, და იგი არ კარგავს თავის საერთაშორისო ხასიათს მხოლოდ და მხოლოდ იმის გამო, რომ ერთი ან რამდენიმე ხელშეკრულება მთლიანად უნდა იქნეს შესრულებული ერთსა და იმავე სახელმწიფოს ტერიტორიაზე.

4. წინამდებარე კონვენცია გამოიყენება აგრეთვე V თავში აღწერილი გადაზიდვის მიმართ, მასში ჩამოყალიბებული პირობების გათვალისწინებით.

მუხლი 2

სახელმწიფოს მიერ განხორციელებული გადაზიდვა და საფოსტო გზავნილების გადაზიდვა

1. წინამდებარე კონვენცია გამოიყენება გადაზიდვის მიმართ, რომელსაც ახორციელებენ სახელმწიფო ან საჯარო სამართლის სხვა იურიდიული პირები, რომლებიც შეესაბამებიან 1-ლი მუხლით გათვალისწინებულ პირობებს.
2. საფოსტო გზავნილების გადაზიდვისას გადამზიდველს აკისრია პასუხისმგებლობა მხოლოდ შესაბამისი საფოსტო ადმინისტრაციის მიმართ იმ წესების შესაბამისად, რომლებიც გამოიყენება გადამზიდველისა და საფოსტო ადმინისტრაციებს შორის ურთიერთობის მიმართ.
3. ამ მუხლის მე-2 პუნქტში აღნიშნულის გამოკლებით წინამდებარე კონვენციის დებულებები არ გამოიყენება საფოსტო გზავნილების გადაზიდვის მიმართ.

თავი II. დოკუმენტაცია და მხარეთა ვალდებულებანი, რომლებიც ეხება მგზავრთა გადაყვანას, ბარგისა და ტვირთის გადაზიდვას

მუხლი 3

მგზავრები და ბარგი

1. მგზავრთა გადაყვანისას გაიცემა ინდივიდუალური ან ჯგუფური სამგზავრო დოკუმენტი, რომელიც შეიცავს:
 - a) საწყისი და დანიშნულების პუნქტების მითითებას;
 - b) თუ საწყისი და დანიშნულების პუნქტები მდებარეობს ერთსა და იმავე მონაწილე სახელმწიფოში, ერთი ან რამდენიმე გათვალისწინებული გაჩერება კი სხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზეა, სულ ცოტა ერთი ასეთი გაჩერების მითითებას.
2. 1-ელ პუნქტში ნახსენები დოკუმენტის ნაცვლად შეიძლება სხვა საშუალებების გამოყენებაც, რომლებზეც დაფიქსირებულია ამ პუნქტში მითითებული ინფორმაციის ჩანაწერი. თუ გამოიყენება სხვა ასეთი საშუალებები, გადამზიდველი მგზავრს სთავაზობს წარმოადგინოს ამგვარად დაფიქსირებული ინფორმაციის წერილობითი შინაარსი.
3. გადამზიდველი მგზავრს გადასცემს ბარგის საიდენტიფიკაციო საჭდედს დარეგისტრირებული ბარგის ყოველ ადგილზე.
4. მგზავრს გადაეცემა წერილობითი უწყება იმის თაობაზე, რომ წინამდებარე კონვენციის გამოყენების შემთხვევაში იგი არეგლამენტებს და შეუძლია შეზღუდოს გადამზიდველთა პასუხისმგებლობა პირის სიკვდილის ან სხეულის დაზიანების შემთხვევაში და ბარგის განადგურებისას, დაკარგვისას ან დაზიანებისას და შეფერხებისას.

5. წინა პუნქტების დებულებათა დარღვევა გავლენას არ ახდენს გადაზიდვის ხელშეკრულების არსებობაზე ან იურიდიულ ძალაზე და მასზე მაინც ვრცელდება წინამდებარე კონვენციის წესების მოქმედება, მათ შორის პასუხისმგებლობის შეზღუდვასთან დაკავშირებული წესებისაც.

მუხლი 4 ტვირთი

1. ტვირთის გადაზიდვისას გაიცემა ავიასატვირთო ზედნადები.
2. ავიასატვირთო ზედნადების ნაცვლად შეიძლება გამოყენებული იქნეს ნებისმიერი სხვა საშუალებები, რომლებზეც დაფიქსირებულია ჩანაწერი მომავალი გადაზიდვის შესახებ. თუ გამოიყენება ასეთი სხვა საშუალებები, გადამზიდველი, გამგზავნის თხოვნით, გადასცემს მას ტვირთის ქვითარს, რომლითაც შესაძლებელია ტვირთის ამოცნობა და სხვა ასეთ საშუალებებზე დაფიქსირებული ინფორმაციის მოპოვება.

მუხლი 5 ავიასატვირთო ზედნადების ან ტვირთის ქვითრის შინაარსი

ავიასატვირთო ზედნადები ან ტვირთის ქვითარი შეიცავს:

- a) საწყისი და დანიშნულების პუნქტების მითითებას;
- b) თუ საწყისი და დანიშნულების პუნქტები მდებარეობს ერთსა და იმავე მონაწილე სახელმწიფოში, ერთი ან რამდენიმე გათვალისწინებული გაჩერება კი სხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზეა, სულ ცოტა ერთი ასეთი გაჩერების მითითებას; ან
- c) ტვირთის წონის მითითებას.

მუხლი 6 ტვირთის ხასიათთან დაკავშირებული დოკუმენტი

საჭიროების შემთხვევაში საბაჟო, პოლიციური და ანალოგიური სახელმწიფო ორგანოების მიერ დადგენილი პროცედურების შესაბამისად გამგზავნს შეიძლება მოეთხოვოს იმ დოკუმენტის წარდგენა, რომელზეც მითითებულია ტვირთის ხასიათი. ეს დებულება გადამზიდველისათვის არ წარმოქმნის მისი მოვალეობებიდან გამომდინარე ვალდებულებებსა ან პასუხისმგებლობას.

მუხლი 7 ავიასატვირთო ზედნადების აღწერილობა

1. ავიასატვირთო ზედნადებს გამგზავნი იურიდიული ძალის მქონე სამ ეგზემპლარად ადგენს.
2. პირველ ეგზემპლარს აქვს წარწერა „გადამზიდველისთვის“ და ხელმოწერილია გამგზავნის მიერ. მეორე ეგზემპლარს აქვს წარწერა „მიმღებისთვის“ და ხელმოწერილია გამგზავნისა და გადამზდველის მიერ. მესამე ეგზემპლარი ხელმოწერილია გადამზიდველის მიერ, რომელიც მას გადასცემს გამგზავნს ტვირთის მიღებისას.
3. გადამზიდველსა და გამგზავნის ხელმოწერები შეიძლება იყოს დაბეჭდილი ან შტემპელდასმული.
4. თუ, გამგზავნის თხოვნით, ავიასატვირთო ზედნადებს გადამზიდველი ადგენს, გადამზიდველი, საპირისპიროს დამტკიცებამდე, გამგზავნის სახელით მოქმედად მიიჩნევა.

მუხლი 8 დოკუმენტაცია რამდენიმე ადგილის გადაზიდვისას

თუ გადაიზიდება ერთზე მეტი ადგილი:

- a) ტვირთის გადამზიდველს უფლება აქვს გამგზავნოს მოსთხოვოს ცალკე ავიასატვირთო ზედნადებები;
- b) გამგზავნის აქვს უფლება გადამზიდველს მოსთხოვოს ტვირთის ცალკე ქვითრები, თუ გამოიყენება მე-4 მუხლის მე-2 პუნქტში მითითებული სხვა საშუალებები.

მუხლი 9

დოკუმენტაციისადმი მოთხოვნების შეუსრულებლობა

მე-4 – მე-8 მუხლების დებულებების შეუსრულებლობა არ ეხება გადაზიდვის ხელშეკრულების არსებობას ან იურიდიულ ძალას, და მასზე მაინც ვრცელდება წინამდებარე კონვენციის წესების მოქმედება, მათ შორის პასუხისმგებლობის შეზღუდვასთან დაკავშირებული წესებისაც.

მუხლი 10

პასუხისმგებლობა დოკუმენტაციაში ცნობების სისწორისათვის

1. გამგზავნი პასუხს აგებს იმ ტვირთთან დაკავშირებული ინფორმაციისა და განცხადებების სისწორისათვის, რომელიც მის მიერ ან მისი სახელით შეტანილია ავიასატვირთო ზედნადებში ან მის მიერ ან მისი სახელით წარდგენილ ტვირთის ქვითარში ანდა გათვალისწინებულია მე-4 მუხლის მე-2 პუნქტში მითითებულ სხვა საშუალებებში დაფიქსირებულ ჩანაწერში შეტანისათვის. წინა დებულება გამოიყენება აგრეთვე იმ შემთხვევაში, როცა გამგზავნის სახელით მოქმედი პირი გადამზიდველის წარმომადგენელიცაა.
2. გამგზავნმა უნდა აუნაზღაუროს გადამზიდველს ზარალი, რომელიც მას ან ნებისმიერ იმ სხვა პირს მიადგება, რომლის წინაშეც პასუხისმგებელია გადამზიდველი, გამგზავნის მიერ ან მისი სახელით წარმოდგენილი ინფორმაციის და განცხადებების სიმცდარის, უზუსტობის ან არასრული სახის გამო.
3. ამ მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების დებულებების გამოკლებით, გადამზიდველმა უნდა აუნაზღაუროს გამგზავნს ნებისმიერი ზარალი, რომელიც მას ან ნებისმიერ იმ სხვა პირს მიადგება, რომლის წინაშეც პასუხისმგებელია გამგზავნი, გადამზიდველის მიერ ან მისი სახელით წარმოდგენილ ტვირთის ქვითარში ან მე-4 მუხლის მე-2 პუნქტში მითითებულ სხვა საშუალებებში შემონახულ ჩანაწერში შეტანილი ინფორმაციის და განცხადებების სიმცდარის, უზუსტობის ან არასრული სახის გამო.

მუხლი 11

დოკუმენტაციის მტკიცებულებითი ძალა

1. ავიასატვირთო ზედნადები ან ტვირთის ქვითარი, საპირისპიროს დამტკიცებამდე, წარმოადგენს ხელშეკრულების დადების, ტვირთის მიღებისა და მათში მითითებული გადაზიდვის პირობების უცილობელ მტკიცებულებას.
2. ავიასატვირთო ზედნადებში ან ტვირთის ქვითარში ნებისმიერი ინფორმაცია ტვირთის წონის, ზომისა და შეფუთვის შესახებ, აგრეთვე ადგილების რაოდენობის შესახებ, საპირისპიროს დამტკიცებამდე, წარმოადგენს მოყვანილი მონაცემების უცილობელ მტკიცებულებას; ტვირთის რაოდენობის, მოცულობისა და მდგომარეობის შესახებ მონაცემები არ წარმოადგენს მტკიცებულებას გადამზიდველის წინააღმდეგ, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა მან შემოწმება მოახდინა გამგზავნის თანდასწრებით და ამის შესახებ მიუთითა ავიასატვირთო ზედნადებში ან ტვირთის ქვითარში ან როცა ისინი ეხება ტვირთის აშკარა მდგომარეობას.

მუხლი 12 ტვირთის განკარგვის უფლება

1. გამგზავნის უფლება აქვს, გადაზიდვის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ყველა ვალდებულების შესრულების პირობით, განკარგოს ტვირთი, წაილოს იგი საწყის ან დანიშნულების აეროპორტში, დააკავოს იგი გადაზიდვისას დაშვების ნებისმიერ პუნქტში, გასცეს მითითებები დანიშნულების პუნქტში ან გადაზიდვისას არა თავდაპირველად მითითებული მიმღებისათვის, არამედ სხვა პირისათვის მისი გადაცემის შესახებ ან მოითხოვოს ტვირთის საწყის აეროპორტში დაბრუნება. გამგზავნმა არ უნდა გამოიყენოს ტვირთის განკარგვის უფლება გადამზიდველის ან სხვა გამგზავნის საზიანოდ და ვალდებულია ანაზღაუროს ამ უფლების გამოყენებიდან გამომდინარე ყველა ხარჯი.
2. თუ გამგზავნის განკარგულების შესრულება შეუძლებელია, გადამზიდველი ვალდებულია ამის შესახებ აცნობოს გამგზავნს.
3. თუ გადამზიდველი ასრულებს გამგზავნის მითითებებს ტვირთის განკარგვის თაობაზე, ამასთან არ მოითხოვს ამ უკანასკნელისათვის გაცემულ ავიასატვირთო ზედნადების ან ტვირთის ქვითრის ეგზემპლარის წარდგენას, ამით გადამზიდველი საკუთარ თავზე იღებს, ინარჩუნებს რა გამგზავნისადმი რეგრესის უფლებას, პასუხისმგებლობას ნებისმიერი ზიანისათვის, რომელიც ამასთან დაკავშირებით შეიძლება მიადგეს ავიასატვირთო ზედნადების ან ტვირთის ქვითრის ამ ეგზემპლარის კანონიერ მფლობელს.
4. გამგზავნის უფლება წყდება იმ მომენტში, როცა, მე-13 მუხლის თანახმად, წარმოიქმნება მიმღების უფლება. მაგრამ, თუ მიმღები უარს ამბობს ტვირთის მიღებაზე ან მასთან დაკავშირება შეუძლებელია, გამგზავნი კვლავ იძენს განკარგვის უფლებას.

მუხლი 13 ტვირთის გაცემა

1. იმ შემთხვევების გამოკლებით, როცა გამგზავნმა განახორციელა თავისი უფლება მე-12 მუხლის თანახმად, მიმღებს უფლება აქვს მოითხოვოს გადამზიდველისგან, დანიშნულების პუნქტში ტვირთის მოსვლის მომენტიდან, მისთვის ტვირთის გადაცემა დადგენილი გადასახდელის გადახდისა და გადაზიდვის პირობების შესრულების შემდეგ.
2. თუ სხვაგვარად არ არის დათქმული, გადამზიდველი ვალდებულია მიმღებს დაუყოვნებლივ აცნობოს ტვირთის ჩამოსვლის შესახებ.
3. თუ გადამზიდველმა აღიარა ტვირთის დაკარგვა ან თუ ტვირთი არ ჩამოვიდა შვიდდღიანი ვადის შემდეგ იმ დღიდან, როცა იგი უნდა ჩამოსულიყო, მიმღებს უფლება აქვს გადამზიდველის მიმართ განახორციელოს უფლებები, რომლებიც გადაზიდვის ხელშეკრულებიდან გამომდინარეობს.

მუხლი 14 გამგზავნისა და მიმღების უფლებათა განხორციელება

გამგზავნსა და მიმღებს შეუძლიათ შესაბამისად განახორციელონ მე-12 და მე-13 მუხლებით მათთვის მინიჭებული ყველა უფლება, თითოეულს თავისი სახელით, იმისდა მიუხედავად, მოქმედებს თუ არა იგი საკუთარი ინტერესებით თუ სხვისი ინტერესებით, მაგრამ გადაზიდვის ხელშეკრულებით დაკისრებული ვალდებულებების შესრულების პირობით.

მუხლი 15
გამგზავნისა და მიმღების ურთიერთობა ან
მესამე პირთა ურთიერთობა

1. მე-12, მე-13 და მე-14 მუხლები არ ეხება არც გამგზავნისა და მიმღების ურთიერთობას, არც მესამე პირთა ურთიერთობას, რომელთა უფლებები წარმოქმნილია ან გამგზავნისაგან ან მიმღებისაგან.
2. მე-12, მე-13 და მე-14 მუხლების დებულებების ნებისმიერი ცვლილება შეტანილი უნდა იქნეს ავიასატვირთო ზედნაღებში ან ტვირთის ქვითარში

მუხლი 16
საბაჟო, საპოლიციო ან სხვა სახელმწიფო უფლებამოსილი
ორგანოების ფორმალობები

1. გამგზავნი ვალდებულია აგრეთვე წარმოადგინოს ისეთი ინფორმაცია და დოკუმენტები, რომლებიც საჭიროა საბაჟო, საპოლიციო ან სხვა სახელმწიფო უფლებამოსილი ორგანოების ფორმალობების შესასრულებლად, მიმღებისთვის ტვირთის გადაცემაში. გამგზავნი გადამზიდველის წინაშე პასუხს აგებს ნებისმიერი ზიანისათვის, რომელიც გამოწვეულია იმის შედეგად, რომ არ არსებობს, არასაკმარისია ან არასწორია ნებისმიერი ასეთი ინფორმაცია ან დოკუმენტები, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ზიანი მიაღწა გადამზიდველის, მისი მოსამსახურეების ან აგენტების მიზეზით.
2. გადამზიდველი ვალდებული არ არის შეამოწმოს ასეთი ინფორმაცია ან დოკუმენტები მათი სისწორის ან საკმარისობის თვალსაზრისით.

თავი III. გადამზიდველის პასუხისმგებლობა და ზიანისათვის
კომპენსაციის ხარისხი

მუხლი 17.
მგზავრის სიკვდილი და სხეულის დაზიანება.
ბარგის დაზიანება

1. გადამზიდველი პასუხს აგებს ზიანისათვის, რომელიც წარმოიქმნება მგზავრის სიკვდილის ან სხეულის დაზიანების შემთხვევაში, მხოლოდ იმ პირობით, რომ შემთხვევა, რომელიც სიკვდილის ან დაზიანების მიზეზი გახდა, მოხდა საჰაერო ხომალდის ბორტზე ან ჩასხდომის ან გადმოსხდომის ნებისმიერი ოპერაციის დროს.
2. გადამზიდველი პასუხს აგებს ზიანისათვის, რომელიც წარმოიქმნება რეგისტრირებული ბარგის განადგურების, დაკარგვის ან დაზიანების შემთხვევაში, მხოლოდ იმ პირობით, რომ განადგურების, დაკარგვის ან დაზიანების მიზეზად ქცეული შემთხვევა მოხდა საჰაერო ხომალდის ბორტზე ან ნებისმიერ იმ პერიოდში, რომლის განმავლობაშიც რეგისტრირებული ბარგი გადამზიდველის დაცვის ქვეშ იმყოფებოდა. მაგრამ გადამზიდველი პასუხს არ აგებს, თუ და იმდენად, რამდენადაც ზიანი გამოიწვია ბარგისათვის დამახასიათებელმა დეფექტმა, ხარისხმა ან ნაკლმა. არარეგისტრირებული ბარგის, მათ შორის პირადი ნივთების მიმართ გადამზიდველი პასუხისმგებელია, თუ ზიანი მიაღწა მისი მიზეზით ან მისი მოსამსახურეების ან აგენტების მიზეზით.
3. თუ გადამზიდველი აღიარებს რეგისტრირებული ბარგის დაკარგვას ან თუ რეგისტრირებული ბარგი დანიშნულებისამებრ არ მივიდა იმ თარიღიდან ოცი დღის შემდეგ, როცა უნდა მისულიყო, მგზავრს ნება ეძლევა გადამზიდველის მიმართ განახორციელოს გადაზიდვის ხელშეკრულებიდან გამომდინარე უფლებები.

4. წინამდებარე კონვენციაში ტერმინი „ბარგი“, რამდენადაც სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, ნიშნავს როგორც რეგისტრირებულ ბარგს, ისე არარეგისტრირებულ ბარგს.

მუხლი 18 ტვირთის დაზიანება

1. გადამზიდველი პასუხს აგებს ზიანისათვის, რომელიც წარმოქმნილია ტვირთის განადგურების, დაკარგვის ან დაზიანების შემთხვევაში, ოღონდ იმ პირობით, რომ ამ ზიანის გამომწვევი მოვლენა საჭაერო გადაზიდვისას მოხდა.
2. მაგრამ გადამზიდველი არ არის პასუხისმგებელი, თუ და იმდენად, რამდენადაც ის დაამტკიცებს, რომ ტვირთის განადგურება, დაკარგვა ან დაზიანება მოხდა ერთი ან რამდენიმე ქვემოთ ჩამოთვლილი გარემოებების შედეგად:
 - a) ტვირთისათვის დამახასიათებელი დეფექტი, ხარისხი ან ნაკლი;
 - b) ტვირთის არასწორი შეფუთვა იმ პირის მიერ, რომელიც არ არის გადამზიდველი, მისი მოსამსახურე ან აგენტი;
 - c) ომის ან შეიარაღებული კონფლიქტის აქტი;
 - d) სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოს აქტი, დაკავშირებული ტვირთის შეტანასთან, გამოტანასთან ან ტრანზიტთან.
3. საჭაერო გადაზიდვა ამ მუხლის 1-ლი პუნქტის შინაარსით მოიცავს დროის პერიოდს, რომლის განმავლობაშიც ტვირთი გადამზიდველის დაცვის ქვეშ იმყოფება.
4. საჭაერო გადაზიდვის დროის პერიოდი არ შეიცავს არანაირ სახმელეთო გადაზიდვას, საზღვაო გადაზიდვას ან შიდა საწყლოსნო გზებით გადაზიდვას, განხორციელებულს აეროპორტის ფარგლებს გარეთ. მაგრამ თუ ამგვარი გადაზიდვა ხორციელდება საჭაერო გადაზიდვის ხელშეკრულების შესასრულებლად დატვირთვის, გაცემის ან გადატვირთვის მიზნებით, ნებისმიერი ზიანი, საპირისპიროს დატვირცობამდე, მიიჩნევა საჭაერო გადაზიდვის დროს მომხდარი მოვლენის შედეგად. თუ გადამზიდველი გამგზავნის თანხმობის გარეშე ცვლის გადაზიდვას, რომელიც მხარეთა შეთანხმებით ჰაერით უნდა განხორციელებულიყო, მთლიანად ან ნაწილობრივ რაიმე სხვა სახის ტრანსპორტით გადაზიდვით, სხვა სახის ტრანსპორტით ასეთი გადაზიდვა მიიჩნევა გადაზიდვად, რომელიც საჭაერო გადაზიდვის დროის პერიოდში განხორციელდა.

მუხლი 19 შეფერხება

გადამზიდველი პასუხისმგებელია ზიანისათვის, რომელიც მგზავრების საჭაერო გადაყვანის, ბარგისა და ტვირთის საჭაერო გადაზიდვის დროს შეფერხების შედეგად წარმოიქმნება. მაგრამ გადამზიდველი პასუხს არ აგებს შეფერხების შედეგად მიყენებული ზიანისათვის, თუ დაამტკიცებს, რომ მან და მისმა მოსამსახურებმა და აგენტებმა მიიღეს ყველა შესაძლო, გონივრულად აუცილებელი ზომები, რათა თავიდან აეცილებინათ ზიანი, ან მისთვის ან მათთვის შეუძლებელი იყო ასეთი ზომების მიღება.

მუხლი 20 პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლება

თუ გადამზიდველი დაამტკიცებს, რომ ზიანი მიყენებული იქნა ან მის მიყენებას ხელი შეუწყო ანაზღაურების მომთხოვნი პირის ან მისთვის უფლებების გადამცემი პირის დაუდევრობამ, არასწორმა მოქმედებამ ან უმოქმედობამ, გადამზიდველი მთლიანად ან ნაწილობრივ

თავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან ანაზღაურების მომთხოვნის პირის მიმართ იმდენად, რამდენადაც ასეთმა დაუდევრობამ, არასწორმა მოქმედებამ ან უმოქმედობამ მიაყენეს ზიანი ან ხელი შეუწყვეს მის მიყენებას. როცა ანაზღაურების შესახებ მოთხოვნას აყენებს სხვა პირი და არა მგზავრი, გადამზიდველი ასევე მთლიანად ან ნაწილობრივ თავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან იმდენად, რამდენადაც შეძლებს დაამტკიცოს, რომ ამ მგზავრის დაუდევრობამ, არასწორმა მოქმედებამ ან უმოქმედობამ ზიანი მიაყენა ან ხელი შეუწყო მის მიყენებას. ეს მუხლი გამოიყენება წინამდებარე კონვენციაში პასუხისმგებლობის შესახებ ყველა დებულებისადმი, 21-ე მუხლის 1-ლი პუნქტის ჩათვლით.

მუხლი 21

კომპენსაცია მგზავრის სიკვდილის ან სხეულის დაზიანების შემთხვევაში

1. იმ ზიანის მიმართ, რომელიც მიყენებულია მე-17 მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად და არ აღემატება ყოველ მგზავრზე 100 000 სესხების სპეციალურ უფლებას, გადამზიდველს არ შეუძლია გამორიცხოს ან შეზღუდოს თავისი პასუხისმგებლობა.
2. გადამზიდველს არ ეკისრება პასუხისმგებლობა მე-17 მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად მიყენებული ზიანისათვის იმდენად, რამდენადაც ზიანი ყოველ მგზავრზე აღემატება 100 000 სესხების სპეციალურ უფლებას, თუ გადამზიდველი დაამტკიცებს, რომ:
 - a) ასეთი ზიანი არ იქნა მიყენებული გადამზიდველის, ან მისი მოსამსახურეების, ან აგენტების დაუდევრობის, ან სხვა არასწორი მოქმედების, ან უმოქმედობის გამო; ანდა
 - b) ასეთი ზიანი მიყენებული იქნა მესამე მხარის დაუდევრობის, ან სხვა არასწორი მოქმედების, ან უმოქმედობის გამო.

მუხლი 22

შეფერხების, ბარგისა და ტვირთის მიმართ პასუხისმგებლობის ფარგლები

1. პირთა გადაყვანისას შეფერხების შედეგად მიყენებული ზიანის შემთხვევაში, რის შესახებაც ნათქვამია მე-19 მუხლში, გადამზიდველის პასუხისმგებლობა ყოველი მგზავრის მიმართ იფარგლება 4 150 სესხების სპეციალური უფლების ოდენობით.
2. ბარგის გადაზიდვისას გადამზიდველის პასუხისმგებლობა განადგურების, დაკარგვის, დაზიანების ან შეფერხების შემთხვევაში იფარგლება 1000 სესხების სპეციალური უფლების ოდენობით ყოველი მგზავრის მიმართ, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა მგზავრმა რეგისტრირებული ბარგის გადაცემის მომენტში გადამზიდველს ხაზგასმით განუცხადა, რომ დაინტერესებულია ადგილზე მიტანით, და დამატებით გადაიხადა მოსაკრებელი, თუ ეს აუცილებელი იყო. ამ შემთხვევაში გადამზიდველი ვალდებულია გადაიხადოს თანხა, რომელიც არ აღემატება გადახდილ თანხას, თუ ის არ დაამტკიცებს, რომ ეს თანხა აღემატება ადგილზე მიტანით მგზავრის ნამდვილ დაინტერესებას.
3. ტვირთის გადაზიდვისას გადამზიდველის პასუხისმგებლობა განადგურების, დაკარგვის, დაზიანების ან შეფერხების შემთხვევაში იფარგლება 17 სესხების სპეციალური უფლების ოდენობით ყოველ კილოგრამზე, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა მგზავრმა რეგისტრირებული ბარგის გადაცემის მომენტში გადამზიდველს ხაზგასმით განუცხადა, რომ დაინტერესებულია ადგილზე მიტანით, და დამატებით გადაიხადა მოსაკრებელი, თუ ეს აუცილებელი იყო. ამ შემთხვევაში გადამზიდველი ვალდებულია გადაიხადოს თანხა, რომელიც არ აღემატება გადახდილ თანხას, თუ ის არ დაამტკიცებს, რომ ეს თანხა აღემატება ადგილზე მიტანით მგზავრის ნამდვილ დაინტერესებას.

4. ტვირთის ნაწილის ან მის შემცველობაში არსებული ნებისმიერი საგნის განადგურების, დაკარგვის, დაზიანების ან შეფერხების შემთხვევაში, გადამზიდველის პასუხისმგებლობის ზღვარის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება მხოლოდ შესაბამისი ადგილის ან ადგილების საერთო წონა. მაგრამ როცა ტვირთის ნაწილის ან მის შემცველობაში არსებული ნებისმიერი საგნის განადგურება, დაკარგვა, დაზიანება ან შეფერხება გავლენას ახდენს ერთსა და იმავე ავიასატვირთო ზედნადებში ან იმავე ქვითარში, ანდა თუ ისინი საერთოდ არ არის გაცემული, მე-4 მუხლის მე-2 პუნქტში მითითებულ სხვა საშუალებებში დაფიქსირებულ ჩანაწერში აღნიშნული სხვა ადგილების ღირებულებაზე, პასუხისმგებლობის ზღვარის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება აგრეთვე ასეთი ადგილის ან ადგილების საერთო წონა.

5. ამ მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების ზემოხსენებული დებულებები არ გამოიყენება, თუ დამტკიცდა, რომ ზიანი მიყენებულია გადამზიდველის, მისი მოსამსახურეების ან აგენტების მოქმედების ან უმოქმედობის შედეგად, რაც ჩადენილია ზიანის მიყენების განზრახვით ან დაუღვევრობით და იმის შეგნებით, რომ ამის შედეგად, შესაძლოა ზიანი მიაღვეს, იმ პირობით, რომ მოსამსახურის ან აგენტის ასეთი მოქმედების ან უმოქმედობის შემთხვევაში აგრეთვე დამტკიცდება, რომ ეს მოსამსახურე ან აგენტი თავისი მოვალეობის ფარგლებში მოქმედებდა.

6. 21-ე მუხლით და ამ მუხლით დადგენილი ზღვარი სასამართლოს ხელს არ უშლის თავისი კანონის შესაბამისად მიუსაჯოს დამატებით მთელი ან ნაწილი სასამართლო ხარჯების და სასამართლო გარჩევის სხვა ხარჯების გადახდა, რომლებიც მოსარჩელემ გაიღო, მათ შორის პროცენტები. ზემოხსენებული დებულება არ გამოიყენება, თუ ზიანის ანაზღაურების წესით მისჯილი თანხა, სასამართლო ხარჯების და სასამართლო გარჩევასთან დაკავშირებული სხვა ხარჯების გამოკლებით, არ აღემატება თანხას, რომელიც გადამზიდველმა წერილობითი სახით შესთავაზა მოსარჩელეს ზიანის მიყენების ღლიდან ექვსი თვის განმავლობაში ან სასამართლო საქმის დაწყებამდე, თუ ეს თარიღი უფრო გვიან დადგა.

მუხლი 23

სავალუტო ერთეულების გადაყვანა

1. წინამდებარე კონვენციის სესხების სპეციალურ უფლებებში მითითებული თანხები მიიჩნევა სესხების სპეციალურ უფლებებთან დაკავშირებულად, როგორც ისინი განსაზღვრულია საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ. ამ თანხების ეროვნულ ვალუტაში გადაყვანა სასამართლო გარჩევის შემთხვევაში წარმოებს სასამართლო გადაწყვეტილების თარიღისათვის სესხების სპეციალურ უფლებებში ასეთი ვალუტის ღირებულების შესაბამისად. სესხების სპეციალურ უფლებებში იმ მონაწილე სახელმწიფოს ეროვნული ვალუტის ღირებულება, რომელიც საერთაშორისო სავალუტო ფონდის წევრია, აღირიცხება ღირებულების განსაზღვრის იმ მეთოდის შესაბამისად, რომელსაც საერთაშორისო სავალუტო ფონდი იყენებს თავისი საკუთარი ოპერაციებისათვის და დაანგარიშებისათვის სასამართლო გადაწყვეტილების თარიღისათვის. სესხების სპეციალურ უფლებებში იმ მონაწილე სახელმწიფოს ეროვნული ვალუტის ღირებულება, რომელიც საერთაშორისო სავალუტო ფონდის წევრი არ არის, აღირიცხება ამ მონაწილე სახელმწიფოს მიერ დადგენილი მეთოდით.

2. ამის მიუხედავად სახელმწიფოებს, რომლებიც არ არიან საერთაშორისო სავალუტო ფონდის წევრები და რომელთა კანონმდებლობაც არ იძლევა ამ მუხლის 1-ლი პუნქტის დებულებათა გამოყენების საშუალებას, შეუძლიათ რატიფიკაციისას ან შეერთებისას ან ამის შემდგომ ნებისმიერ დროს განაცხადონ, რომ 21-ე მუხლით განსაზღვრული გადამზიდველის პასუხისმგებლობის ზღვარი დგინდება მგზავრზე 1500000 სავალუტო ერთეულის თანხით მათ ტერიტორიაზე სასამართლო გარჩევისას; მგზავრზე 62500 სავალუტო ერთეულით 22-ე მუხლის 1-ლი პუნქტის მიმართ; მგზავრზე 15000 სავალუტო ერთეულით 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის მიმართ; და კილოგრამზე 250 სავალუტო ერთეულით 22-ე მუხლის მე-3 პუნქტის მიმართ. ასეთი სავალუტო ერთეული შედგება ცხრაასიანი სინჯის სამოცდახუთნახევარი მილიგრამი ოქროსაგან. აღნიშნული თანხები შეიძლება გადაყვანილი იქნეს შესაბამის ეროვნულ

ვალუტაში დამრგვალებული ციფრებით. ეროვნულ ვალუტაში ასეთი თანხების გადაყვანა ხორციელდება შესაბამისი სახელმწიფოს კანონმდებლობის თანახმად.

3. ამ მუხლის 1-ლი პუნქტის ბოლო წინადადებაში ნახსენები გაანგარიშება და ამ მუხლის მე-2 პუნქტში ნახსენები გადაყვანა სრულდება იმგვარად, რომ მონაწილე სახელმწიფოს ეროვნულ ვალუტაში გამოიხატოს, რამდენადაც ეს შესაძლებელია, 21-ე და 22-ე მუხლებში მითითებული რაოდენობრივი მაჩვენებლების ისეთივე რეალური ღირებულება, როგორც მიღებული იქნება ამ მუხლის 1-ლი პუნქტის პირველი სამი წინადადების გამოყენების შედეგად. მონაწილე სახელმწიფოები დეპოზიტარს აცნობებენ ამ მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად აღრიცხვის მეთოდის შესახებ ან ამ მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად გადაყვანის შედეგების შესახებ წინამდებარე კონვენციის რატიფიკაციის, მიღების, დამტკიცების ან მასთან შეერთების შესახებ დოკუმენტის შესანახად ჩაბარებისას, აგრეთვე მათი ყოველი შეცვლის შემდეგ.

მუხლი 24 ფარგლების გადახედვა

1. წინამდებარე კონვენციის 25-ე მუხლის დებულებებისათვის ზიანის მიუყენებლად და ქვემოთ მოყვანილი მე-2 პუნქტის დებულებების გათვალისწინებით 21-ე, 22-ე და 23-ე მუხლებით დადგენილ პასუხისმგებლობის ფარგლებს დეპოზიტარი ყოველ ხუთ წელიწადში გადასინჯავს, ამასთან პირველი ასეთი გადახედვა ხდება წინამდებარე კონვენციის ძალაში შესვლის თარიღიდან მეხუთე წლის ბოლოს ან, თუ კონვენცია ძალაში შედის ხუთი წლის განმავლობაში იმ თარიღიდან, როცა იგი პირველად გაიხსნა ხელმოსაწერად, მისი ძალაში შესვლიდან პირველი წლის განმავლობაში ინფლაციის იმ კოეფიციენტის გათვალისწინებით, რომელიც შეესაბამება ინფლაციის მთლიან ტემპს წინა გადახედვიდან განვლილი პერიოდის განმავლობაში ან პირველი გადახედვისას – კონვენციის ძალაში შესვლის თარიღიდან. ინფლაციის კოეფიციენტის განსაზღვრისას ინფლაციის ტემპის ოდენობა აღირიცხება იმ სახელმწიფოებში სამომხმარებლო ფასების ინდექსების გაზრდის ან შემცირების საშუალოშეწონილი წლიური განაკვეთების საფუძველზე, რომელთა ვალუტაც წარმოქმნის 23-ე მუხლის 1-ელ პუნქტში ნახსენებ სესხების სპეციალურ უფლებებს.

2. თუ წინა პუნქტში ნახსენები გადასინჯვის შედეგად კეთდება დასკვნა იმის შესახებ, რომ ინფლაციის კოეფიციენტმა გადააჭარბა 10 პროცენტს, დეპოზიტარი მონაწილე სახელმწიფოებს ატყობინებს პასუხისმგებლობის ფარგლების შეცვლის თაობაზე. ნებისმიერი ასეთი ცვლილება ძალაში შედის მის შესახებ მონაწილე სახელმწიფოებისათვის შეტყობინებიდან ექვსი თვის შემდეგ. თუ მის შესახებ მონაწილე სახელმწიფოებისათვის შეტყობინებიდან სამი თვის განმავლობაში მონაწილე სახელმწიფოების უმრავლესობა განაცხადებს, რომ არ ეთანხმება მას, ცვლილება ძალაში არ შედის და დეპოზიტარი ამ საკითხს მონაწილე სახელმწიფოთა თათბირზე განსახილველად გადასცემს. დეპოზიტარი დაუყოვნებლივ ატყობინებს ყველა მონაწილე სახელმწიფოს ნებისმიერი ცვლილების ძალაში შესვლის თაობაზე.

3. ამ მუხლის 1-ლი პუნქტის დებულებების მიუხედავად, ამ მუხლის მე-2 პუნქტში ნახსენები პროცედურა ნებისმიერ დროს გამოიყენება იმ პირობით, რომ ამის შესახებ თხოვნა გამოთქვა მონაწილე სახელმწიფოთა ერთმა მესამედმა და რომ 1-ელ პუნქტში ნახსენებმა ინფლაციის კოეფიციენტმა 30 პროცენტს გადააჭარბა წინა გადასინჯვის თარიღიდან განვლილი პერიოდის განმავლობაში ან წინამდებარე კონვენციის ძალაში შესვლის თარიღიდან, თუ გადასინჯვა ჯერ არ მოხდარა. ამ მუხლის 1-ელ პუნქტში აღწერილი პროცედურის გამოყენებით შემდგომი გადასინჯვები მოხდება ყოველ ხუთ წელიწადში, ამ პუნქტის შესაბამისად გადასინჯვის თარიღიდან მეხუთე წლის დამლევადან მოყოლებული.

მუხლი 25
დათქმა ფარგლების მიმართ

გადამზიდველს შეუძლია გააკეთოს დათქმა, რომ გადაზიდვის ხელშეკრულების მიმართ გამოიყენება პასუხისმგებლობის უფრო მაღალი ზღვარი, ვიდრე ეს გათვალისწინებულია წინამდებარე კონვენციით, ანდა პასუხისმგებლობის არანაირი ფარგლები არ გამოიყენება.

მუხლი 26
სახელშეკრულებო დებულებების ბათილობა

ყოველი დათქმა, რომელიც იხრება გადაზიდველის პასუხისმგებლობისგან გათავისუფლებისკენ ან პასუხისმგებლობის იმაზე ნაკლები ზღვარის დადგენისკენ, რომელიც წინამდებარე კონვენციით არის განსაზღვრული, ბათილია და არანაირ შედეგებს არ წარმოშობს, თუმცა ამ დათქმის ბათილობა არ იწვევს ხელშეკრულების ბათილობას, რომელზეც კვლავ ვრცელდება წინამდებარე კონვენციის დებულებათა მოქმედება.

მუხლი 27
ხელშეკრულების დადების თავისუფლება

წინამდებარე კონვენციაში არაფერი არ უშლის ხელს გადაზიდველს, რომ უარი თქვას გადაზიდვის ხელშეკრულების დადებაზე, კონვენციით გათვალისწინებული დაცვის რაიმე საშუალებებზე ან დაადგინოს პირობები, რომლებიც არ ეწინააღმდეგება წინამდებარე კონვენციის დებულებებს.

მუხლი 28
წინასწარი გადახდა

თუ მოხდა საავიაციო შემთხვევა, რომელმაც მგზავრების სიკვდილი ან დაშავება გამოიწვია, გადაზიდველი, თუ ეს გათვალისწინებულია მისი ეროვნული კანონმდებლობით, დაუყოვნებლივ ახორციელებს წინასწარ გადახდას ფიზიკური პირისათვის ან პირებისათვის, რომლებსაც უფლება აქვთ მოითხოვონ კომპენსაცია ასეთ პირთა დაუყოვნებლივი ეკონომიკური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისთვის. ასეთი წინასწარი გადახდა არ ნიშნავს აღიარებას და შეიძლება ზარალის ანაზღაურების თვალსაზრისით გადაზიდველის შემდგომ გადახდაში ჩაითვალოს.

მუხლი 29
სარჩელის საფუძველი

მგზავრების გადაყვანისას, ბარგისა და ტვირთის გადაზიდვისას პასუხისმგებლობის შესახებ ნებისმიერი სარჩელი, მისი საფუძველის მიუხედავად, იქნება ეს წინამდებარე კონვენციის, ხელშეკრულების, სამართალდარღვევის საფუძველზე თუ ნებისმიერ სხვა საფუძველზე, შეიძლება წარდგენილი იქნეს მხოლოდ პასუხისმგებლობის პირობების და ისეთი ზღვარის შესაბამისად, რომლებიც გათვალისწინებულია წინამდებარე კონვენციით, სარჩელის უფლების მქონე პირების და მათი შესაბამისი უფლებების განსაზღვრისათვის. ნებისმიერი ასეთი სარჩელისას ჯარიმები, საჯარიმო სანქციები ან ნებისმიერი სხვა გადასახდელეები, რომლებიც არ ეხება ფაქტობრივი ზიანის კომპენსაციას, დაკისრებას არ ექვემდებარება.

მუხლი 30

მოსამსახურეები, აგენტები. სარჩელების საერთო თანხა

1. თუ სარჩელი გადამზიდველის მოსამსახურეს ან აგენტს წარედგინა წინამდებარე კონვენციაში ნახსენებ ზიანთან დაკავშირებით, ასეთ მოსამსახურეს ან აგენტს, თუ იგი დაამტკიცებს, რომ თავისი სამსახურებრივი მოვალეობის ფარგლებში მოქმედებდა, უფლება აქვს დაიმოწმოს პირობები და პასუხისმგებლობის ფარგლები, რომელთა დამოწმების უფლება აქვს თავად გადამზიდველს წინამდებარე კონვენციის საფუძველზე.
2. საერთო თანხა, რომლის გადახდაც შეიძლება დაეკისროს გადამზიდველს, მის მოსამსახურეებს და აგენტებს, ამ შემთხვევაში აღნიშნულ ზღვარს არ უნდა სცილდებოდეს.
3. ტვირთის გადაზიდვის შემთხვევების გამოკლებით, ამ მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების დებულებები არ გამოიყენება, თუ დამტკიცდება, რომ ზიანი გამოიწვია მოსამსახურის ან აგენტის მოქმედებამ ან უმოქმედობამ, რომელიც ჩადენილია ზიანის მიყენების განზრახვით ან დაუღვერობით და იმის შეგნებით, რომ ამას შედეგად შეიძლებოდა ზიანი მოჰყოლოდა.

მუხლი 31

საჩივრების დროული შეტანა

1. მიმღების მიერ რეგისტრირებული ბარგის ან ტვირთის მიღება საჩივრის გარეშე წარმოშობს ვარაუდს, საპირისპიროს დამტკიცებამდე, რომ ბარგი ან ტვირთი სათანადო მდგომარეობაში იყო ჩატანილი და შეესაბამებოდა გადაზიდვის დოკუმენტს ან იმ სხვა საშუალებებში დაფიქსირებულ ჩანაწერს, რომლებიც ნახსენებია მე-3 მუხლის მე-2 პუნქტში და მე-4 მუხლის მე-2 პუნქტში.
2. ზიანის მიყენების შემთხვევაში ტვირთის მიღების უფლების მქონე პირმა გადამზიდველს უნდა მიმართოს საჩივრით ზიანის აღმოჩენისთანავე და რეგისტრირებული ბარგის მიღებიდან არა უგვიანეს შვიდი დღისა და ბარგის მიღებიდან არა უგვიანეს თოთხმეტი დღისა. შეფერხების შემთხვევაში პროტესტი უნდა გამოიხატოს არა უგვიანეს ოცდაერთი დღისა, იმ დღიდან მოყოლებული, როცა ბარგი ან ტვირთი მის განკარგულებაში გადაიცა.
3. ყოველგვარი საჩივარი წარდგენილი უნდა იქნეს წერილობით და გადაიცეს ან გაიგზავნოს ზემოხსენებულ ვადებში.
4. ზემოხსენებულ ვადებში საჩივრის არარსებობის შემთხვევაში გადამზიდველის წინააღმდეგ არანაირი სარჩელი არ მიიღება, ამ უკანასკნელის მხრიდან მოტყუების შემთხვევის გარდა.

მუხლი 32

პასუხისმგებელი პირის სიკვდილი

პასუხისმგებელი პირის სიკვდილის შემთხვევაში, ზიანის ანაზღაურების შესახებ სარჩელი წინამდებარე კონვენციის პირობების შესაბამისად აღიძრება იმ პირების მიმართ, რომლებიც კანონიერ საფუძველზე წარმოადგენენ მის ქონებას.

მუხლი 33

იურისდიქცია

1. პასუხისმგებლობის შესახებ სარჩელი უნდა აღიძრას მოსარჩელეს შეხედულებისამებრ ერთ-ერთი მონაწილე სახელმწიფოს ტერიტორიის ფარგლებში ან სასამართლოში გადამზიდველის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, მისი ძირითადი კომერციული საწარმოს ადგილის მიხედვით ან იმ ადგილის მიხედვით, სადაც მისი კომერციული საწარმო მდებარეობს, რომლის მეშვეობითაც დაიდო ხელშეკრულება, ანდა გადაზიდვის დანიშნულების ადგილზე მდებარე სასამართლოში.

2. მგზავრის სიკვდილის ან სხეულის დაზიანების შედეგად მიყენებული ზიანის გამო პასუხისმგებლობის შესახებ სარჩელი შეიძლება აღიძრას ამ მუხლის 1-ელ პუნქტში ნახსენებ ერთ-ერთ სასამართლოში ან მონაწილე სახელმწიფოს ტერიტორიაზე, რომელშიც შემთხვევის მომენტში მგზავრს აქვს ძირითადი და მუდმივი საცხოვრებელი ადგილი და რომელშიც და რომლიდანაც გადამზიდველი ახორციელებს მომსახურებას, დაკავშირებულს მგზავრების საჰაერო გადაყვანასთან ან საკუთარი საჰაერო ხომალდებით, ან სხვა გადამზიდველი საჰაერო ხომალდებით კომერციული შეთანხმების საფუძველზე, და რომელშიც ეს გადამზიდველი ახორციელებს მგზავრების საჰაერო გადაყვანასთან დაკავშირებულ საქმიანობას, ნაგებობების გამოყენებით, რომლებიც თავად გადამზიდველს ან იმ სხვა გადამზიდველს აქვთ იჯარით აღებული, რომელთანაც მას კომერციული შეთანხმება აქვს დადებული, ან მისი ან სხვა ასეთი გადამზიდველის საკუთრებაა.

3. მე-2 პუნქტის მიზნებისათვის:

- a) „კომერციული შეთანხმება“ ნიშნავს გადამზიდველებს შორის დადებულ შეთანხმებას, გარდა სააგენტო შეთანხმებისა, რომელიც ეხება მგზავრების საჰაერო გადაყვანასთან დაკავშირებულ მათ ერთობლივ მომსახურებას;
- b) „ძირითადი და მუდმივი საცხოვრებელი ადგილი“ ნიშნავს შემთხვევის მომენტისათვის მგზავრის საცხოვრებელ ერთ დაფიქსირებულ და მუდმივ ადგილს. მგზავრის მოქალაქეობა ამ თვალსაზრისით განმსაზღვრელ ფაქტორს არ წარმოადგენს.

4. პროცედურას თავად იმ სასამართლოს კანონი განსაზღვრავს, რომელშიც შეტანილია სარჩელი.

მუხლი 34

არბიტრაჟი

1. ამ მუხლის დებულებების გათვალისწინებით მხარეებს შეუძლია ტვირთის გადაზიდვის ხელშეკრულებაში დაადგინონ, რომ წინამდებარე კონვენციის თანახმად გადამზიდველის პასუხისმგებლობასთან დაკავშირებული ნებისმიერი დავა არბიტრაჟში უნდა გადაწყდეს. ასეთი შეთანხმება წერილობითი სახით ფორმდება.

2. საარბიტრაჟო გარჩევა მოსარჩელეს შეხელულებისამებრ იმართება 33-ე მუხლით გათვალისწინებული ერთ-ერთ სასამართლოში.

3. არბიტრი ან საარბიტრაჟო ტრიბუნალი წინამდებარე კონვენციის დებულებებს იყენებენ.

4. ამ მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების დებულებები მიიჩნევა ნებისმიერი საარბიტრაჟო დათქმის ან მორიგების შემადგენელ ნაწილად, ასეთი დათქმის ან მორიგების ნებისმიერი მათთან შეუთავსებელი პირობა ნულოვანია და არის ბათილი.

მუხლი 35

სასარჩელო სარჩელის ხანდაზმულობაის ვადა

1. პასუხისმგებლობის შესახებ სარჩელი უნდა აღიძრას, სარჩელის უფლების დაკარგვის საშიშროების გამო, დანიშნულების ადგილამდე მიღწევის მომენტიდან ან იმ დღიდან, როცა საჰაერო ხომალდი უნდა მისულიყო, ან გადაზიდვის შეჩერების მომენტიდან ორი წლის განმავლობაში.

2. ამ ვადის ათვლის წესი განისაზღვრება იმ სასამართლოს კანონით, რომელშიც შეტანილია სარჩელი.

მუხლი 36
შემდგომი გადამზიდველები

1. 1-ლი მუხლის მე-3 პუნქტის განსაზღვრებით რეგულირებადი გადაზიდვის შემთხვევაში, რომელსაც რამდენიმე შემდგომი გადამზიდველი ახდენს, ყოველ გადამზიდველზე, რომელიც იღებს მგზავრებს, ბარგს ან ტვირთს, ვრცელდება წინამდებარე კონვენციით დადგენილი წესები და იგი განიხილება როგორც გადაზიდვის ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარე, ვინაიდან ეს ხელშეკრულება ეხება მისი კონტროლით განხორციელებულ გადაზიდვის ნაწილს.
2. ასეთი გადაზიდვის შემთხვევაში მგზავრს ან ნებისმიერ პირს, რომელსაც უფლება აქვს მოითხოვოს კომპენსაცია მისი სახელით, შეუძლია საქმე აღძრას მხოლოდ იმ გადაზიდვის განმასხორციელებელი გადამზიდველის წინააღმდეგ, რომლის დროსაც მოხდა შემთხვევა ან შეფერხება, იმ შემთხვევის გარდა, როცა სპეციალური პირობით პირველმა გადამზიდველმა აიღო პასუხისმგებლობა მთელი გზისათვის.
3. ბარგთან ან ტვირთთან დაკავშირებით მგზავრს ან გამგზავნს შეუძლია საქმე აღძრას პირველი გადამზიდველის წინააღმდეგ, და მგზავრს ან მიმღებს, რომელსაც აქვს მიღების უფლება, - ბოლო გადამზიდველის წინააღმდეგ; ერთსაც და მეორესაც შეუძლიათ მოსთხოვონ პასუხი იმ გადაზიდვის განმასხორციელებელ გადამზიდველს, რომლის დროსაც მოხდა განადგურება, დაკარგვა, დაზიანება ან შეფერხება. ამ გადამზიდველებს სოლიდარული პასუხისმგებლობა დაეკისრებათ გამგზავნისა და მიმღების წინაშე.

მუხლი 37
რეგრესის უფლება მესამე პირთა წინააღმდეგ

წინამდებარე კონვენციაში არანაირად არ არის წინასწარ გადაწყვეტილი საკითხი იმის შესახებ, აქვს თუ არა მისი დებულებების შესაბამისად ზიანისათვის პასუხისმგებელ პირს ნებისმიერი სხვა პირის წინააღმდეგ რეგრესის უფლება.

თავი IV. შერეული გადაზიდვა

მუხლი 38
შერეული გადაზიდვა

1. შერეული გადაზიდვის შემთხვევაში, რომელიც ხორციელდება ნაწილობრივ საჰაერო და ნაწილობრივ გადაზიდვის სხვა საშუალებით, წინამდებარე კონვენციის დებულებები გამოიყენება მე-18 მუხლის მე-4 პუნქტის გათვალისწინებით საჰაერო გადაზიდვის მიმართ, თუ ეს გადაზიდვა 1-ლი მუხლის პირობებს შეესაბამება.
2. წინამდებარე კონვენციაში არაფერი არ უშლის ხელს მხარეებს შერეული გადაზიდვის შემთხვევაში საჰაერო გადაზიდვის დოკუმენტში შეიტანონ პირობები, რომლებიც განეკუთვნება გადაზიდვას სხვა საშუალებებით, იმ პირობით, რომ წინამდებარე კონვენციის დებულებები დაცული იქნება საჰაერო გადაზიდვის მიმართებაში.

თავი V. საჰაერო გადაზიდვა, განხორციელებული პირთა მიერ, რომლებიც არ არიან გადამზიდველები ხელშეკრულებით

მუხლი 39
ხელშეკრულებით გადამზიდველი - ფაქტობრივი გადამზიდველი

წინამდებარე თავის დებულებები გამოიყენება იმ შემთხვევაში, როცა პირი (შემდგომში წოდებული „ხელშეკრულებით გადამზიდველად“), როგორც ძირითადი მხარე დებს გადაზიდვის ხელშეკრულებას, წინამდებარე კონვენციით რეგულირებულს, მგზავრთან ან გამგზავრთან, ან მგზავრის ან გამგზავრის სახელით მოქმედ პირთან, ხოლო მეორე პირი (შემდგომში წოდებული „ფაქტობრივ გადამზიდველად“), როგორც ხელშეკრულებით უფლებამოსილი გადამზიდველი, ახორციელებს მთელ გადაზიდვას ან მის ნაწილს, მაგრამ ამ ნაწილის მიმართ არ წარმოადგენს შემდგომ გადამზიდველს წინამდებარე კონვენციის მიხედვით. აღნიშნული უფლებამოსილების არსებობა ნავარაუდევია საპირისპიროს დამტკიცებამდე.

მუხლი 40

ხელშეკრულებით გადამზიდველისა და ფაქტობრივი გადამზიდველის პასუხისმგებლობა

თუ ამ თავში სხვაგვარად არ არის დათქმული, იმ შემთხვევაში, როცა ფაქტობრივი გადამზიდველი მთლიანად ან ნაწილობრივ ახორციელებს გადაზიდვას, რომელიც 39-ე მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების შესაბამისად რეგულირდება წინამდებარე კონვენციით, როგორც ხელშეკრულებით გადამზიდველზე, ისე ფაქტობრივ გადამზიდველზე ვრცელდება წინამდებარე კონვენციის წესების მოქმედება, ამასთან პირველზე – ხელშეკრულებით გათვალისწინებული მთელი გადაზიდვის მიმართ, ხოლო მეორეზე – მხოლოდ იმ გადაზიდვის მიმართ, რომელსაც იგი ახორციელებს.

მუხლი 41

ურთიერთპასუხისმგებლობა

1. თავიანთი მოვალეობის ფარგლებში მოქმედი ფაქტობრივი გადამზიდველის და მისი მოსამსახურეების და აგენტების მოქმედება ან უმოქმედობა ფაქტობრივი გადამზიდველის მიერ განხორციელებული გადაზიდვის მიმართ მიიჩნევა აგრეთვე ხელშეკრულებით გადამზიდველის მოქმედებად ან უმოქმედობად.
2. თავიანთი მოვალეობის ფარგლებში მოქმედი ხელშეკრულებით გადამზიდველის და მისი მოსამსახურეების და აგენტების მოქმედება ან უმოქმედობა ფაქტობრივი გადამზიდველის მიერ განხორციელებული გადაზიდვის მიმართ მიიჩნევა აგრეთვე ფაქტობრივი გადამზიდველის მოქმედებად ან უმოქმედობად. მაგრამ ეს მოქმედება ან უმოქმედობა არავითარ შემთხვევაში არ აკისრებს ფაქტობრივ გადამზიდველს პასუხისმგებლობას, რომელიც სცდება 21-ე, 22-ე, 23-ე და 24-ე მუხლებით გათვალისწინებულ ზღვარს. არანაირი განსაკუთრებული შეთანხმება, რომლის თანახმადაც ხელშეკრულებით გადამზიდველი კისრულობს ვალდებულებას, რომელსაც წინამდებარე კონვენცია არ აკისრებს, არანაირი უარი წინამდებარე კონვენციით დათქმულ დაცვის უფლებებზე ან არგუმენტებზე ანდა 22-ე მუხლით გათვალისწინებული რაიმე სპეციალური განცხადებები მიწოდებით დაინტერესების შესახებ არ ვრცელდება ფაქტობრივ გადამზიდველზე მისი თანხმობის გარეშე.

მუხლი 42

საჩივრების და ინსტრუქციების აღრესატი

ნებისმიერ საჩივარს, რომელიც წარედგინება, და ნებისმიერ ინსტრუქციას, რომელიც ეძლევა გადამზიდველს წინამდებარე კონვენციის საფუძველზე, თანაბარი ძალა აქვს იმისდა მიხედვით, ხელშეკრულებით გადამზიდველს ეხება ისინი თუ ფაქტობრივ გადამზიდველს. მაგრამ მე-12 მუხლით გათვალისწინებული ინსტრუქციები ძალაშია, მხოლოდ თუ ხელშეკრულებით გადამზიდველს ეხება.

მუხლი 43
მოსამსახურეები და აგენტები

ფაქტობრივი გადამზიდველის მიერ განხორციელებული გადაზიდვის მიმართ ამ გადამზიდველის ან ხელშეკრულებით გადამზიდველის ნებისმიერ მოსამსახურეს ან აგენტს, თუ დაამტკიცებს, რომ თავისი მოვალეობების ფარგლებში მოქმედებდა, უფლება აქვს დაეყრდნოს პასუხისმგებლობის იმ პირობებსა და ფარგლებს, რომლებიც წინამდებარე კონვენციით ეხება გადამზიდველს, რომლის მოსამსახურეს ან აგენტს ის წარმოადგენს, თუ არ დაამტკიცდა, რომ ამგვარად იმიტომ მოქმედებდა, რომ თავიდან აეცილებინა წინამდებარე კონვენციით განსაზღვრული პასუხისმგებლობა.

მუხლი 44
ანაზღაურების საერთო თანხა

ფაქტობრივი გადამზიდველის მიერ განხორციელებული გადაზიდვის მიმართ ანაზღაურების საერთო თანხა, რომელიც თავიანთი მოვალეობის ფარგლებში მოქმედ ამ გადამზიდველს, ხელშეკრულებით გადამზიდველს და მის მოსამსახურეებს და აგენტებს შეიძლება დაეკისროთ, არ უნდა აღემატებოდეს მაქსიმალურ ანაზღაურებას, რომელიც, წინამდებარე კონვენციის საფუძველზე, შეიძლება გადაახდებინონ ან ხელშეკრულებით გადამზიდველს, ან ფაქტობრივ გადამზიდველს, ამასთან არც ერთი ნახსენები პირი არ აგებს პასუხს იმ ფარგლების ზემოთ, რომელიც გამოიყენება ამ პირის მიმართ.

მუხლი 45
სარჩელის ადრესატი

ფაქტობრივი გადამზიდველის მიერ განხორციელებული გადაზიდვისათვის პასუხისმგებლობის შესახებ ყოველი სარჩელი, მოსარჩელეს შეხედულებისამებრ, შეიძლება აღიძრას ან ამ გადამზიდველის, ან ხელშეკრულებით გადამზიდველის, ან ორივეს მიმართ, ერთად ან ცალ-ცალკე. თუ სარჩელი აღძრულია მხოლოდ ერთ-ერთი გადამზიდველის მიმართ, მას უფლება აქვს მეორე გადამზიდველიც ჩართოს იმ სასამართლოს პროცესში, რომელშიც შეტანილია სარჩელი, ამასთან ასეთი ჩართვის პროცედურა და მისი შედეგები ამ სასამართლოს კანონით განისაზღვრება.

მუხლი 46
დამატებითი იურისდიქცია

45-ე მუხლით გათვალისწინებული ყოველი სარჩელი უნდა აღიძრას მოსარჩელეს შეხედულებისამებრ ერთ-ერთი მონაწილე სახელმწიფოს ტერიტორიის ფარგლებში ან ერთ-ერთ იმ სასამართლოში, რომელშიც სარჩელი შეიძლება აღიძრას ხელშეკრულებით გადამზიდველის წინააღმდეგ 33-ე მუხლის საფუძველზე, ანდა სასამართლოში ფაქტობრივი გადამზიდველის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით ან მისი ძირითადი კომერციული საწარმოს მდებარეობის ადგილის მიხედვით.

მუხლი 47 სახელშეკრულებო დებულებების ბათილობა

ნებისმიერი დათქმა, რომელიც იხრება ხელშეკრულებით გადამზიდველის ან ფაქტობრივი გადამზიდველის პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლებისაკენ ამ თავის საფუძველზე ან უფრო ნაკლები პასუხისმგებლობის ფარგლების დადგენისაკენ, ვიდრე ამ თავით არის დადგენილი,

ბათილია და არანაირ შედეგებს არ იწვევს, მაგრამ ამ დათქმის ბათილობა არ იწვევს მთელი ხელშეკრულების ბათილობას, რომელზეც კვლავ ვრცელდება ამ თავის დებულებების მოქმედება.

მუხლი 48

ხელშეკრულებით გადამზიდველის და ფაქტობრივი გადამზიდველის ურთიერთობა

45-ე მუხლის დებულებების გარდა, ამ თავში არაფერი არ ეხება გადამზიდველებს შორის წარმოქმნილ უფლებებსა და ვალდებულებებს, მათ შორის რეგრესის ან პასუხისმგებლობის აცილების უფლებას.

თავი VI. სხვა დებულებები

მუხლი 49

სავალდებულო გამოყენება

ბათილად ჩაითვლება გადაზიდვის ხელშეკრულების ყველა დებულება და ყველა საგანგებო შეთანხმება, რომლებიც წინ უძღოდა მიყენებულ ზიანს და რომლებითაც მხარეებს შესაძლებლობა ექნებოდათ დაერღვიათ წინამდებარე კონვენციის წესები ან გამოსაყენებელი კანონის განსაზღვრის გზით ანდა იურისდიქციის შესახებ წესების შეცვლით.

მუხლი 50

დაზღვევა

მონაწილე სახელმწიფოები მოითხოვენ, რომ წინამდებარე კონვენციის შესაბამისად სათანადოდ იყოს დაზღვეული მათი გადამზიდველების პასუხისმგებლობა. მონაწილე სახელმწიფოს, რომელშიც გადამზიდველი ფრენას ასრულებს, შეუძლია მას მოსთხოვოს წინამდებარე კონვენციის თანახმად თავისი პასუხისმგებლობის სათანადო დაზღვევის უზრუნველყოფის მტკიცებულება.

მუხლი 51

განსაკუთრებული გარემოებისას განხორციელებული გადაზიდვა

მე-3 მუხლიდან მე-5, მე-7 და მე-8 მუხლებამდე დებულებები, რომლებიც გადაზიდვის დოკუმენტებს ეხება, არ გამოიყენება გადაზიდვის მიმართ, რომელიც ხორციელდება საგანგებო ვითარებაში და სცილდება საჰაერო ტრანსპორტის ექსპლუატაციის ჩვეულებრივი ოპერაციების ფარგლებს.

მუხლი 52

დღეების განსაზღვრა

როცა წინამდებარე კონვენციაში ნახსენებია დღეები, იგულისხმება კალენდარული დღეები და არა სამუშაო დღეები.

თავი VII. დასკვნითი დებულებები

მუხლი 53

ხელმოწერა, რატიფიკაცია და ძალაში შესვლა

1. წინამდებარე კონვენცია ხელმოსაწერად გახსნილია მონრეალში 1999 წლის 28 მაისს სახელმწიფოებისათვის, რომლებიც მონაწილეობდნენ საჰაერო სამართლის შესახებ საერთაშორისო კონფერენციაში, რომელიც მონრეალში გაიმართა 1999 წლის 10-დან 28 მაისამდე. 1999 წლის 28 მაისის შემდეგ კონვენცია გახსნილია ყველა სახელმწიფოს ხელმოსაწერად მონრეალში სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაციის შტაბ-ბინაში მის ძალაში შესვლამდე ამ მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად.
2. წინამდებარე კონვენცია გახსნილია აგრეთვე ხელმოსაწერად ეკონომიკური ინტეგრაციის რეგიონალური ორგანიზაციებისათვის. წინამდებარე კონვენციის მიზნებისათვის „ეკონომიკური ინტეგრაციის რეგიონალური ორგანიზაცია“ ნიშნავს გარკვეული რეგიონის სუვერენული სახელმწიფოების მიერ დაარსებულ ნებისმიერ ორგანიზაციას, რომელსაც აქვს კომპეტენცია წინამდებარე კონვენციით რეგულირებული ზოგიერთი საკითხის მიმართ, და სათანადოდ უფლებამოსილია ხელი მოაწეროს წინამდებარე კონვენციას და მოახდინოს მისი რატიფიკაცია, მიღება, დამტკიცება ან მასთან შეერთება. წინამდებარე კონვენციაში „მონაწილე სახელმწიფოს“ ან „მონაწილე სახელმწიფოების“ მოხსენიება სხვაგვარად ვიდრე ეს არის მოცემული 1-ლი მუხლის მე-2 პუნქტში, მე-3 მუხლის 1 „ბ“ პუნქტში, მე-5 მუხლის „ბ“ პუნქტში, 23-ე, 33-ე, 46-ე მუხლებში და 57 მუხლის „ბ“ პუნქტში, თანაბრად ვრცელდება ეკონომიკური ინტეგრაციის რეგიონალურ ორგანიზაციაზე. 24-ე მუხლის მიზნებისათვის „მონაწილე სახელმწიფოების უმრავლესობის“ და „მონაწილე სახელმწიფოების ერთი მესამედის“ მოხსენიება არ ვრცელდება ეკონომიკური ინტეგრაციის რეგიონალური ორგანიზაციაზე.
3. წინამდებარე კონვენცია ექვემდებარება მისი ხელმომწერი სახელმწიფოებისა და ეკონომიკური ინტეგრაციის რეგიონალური ორგანიზაციების მიერ რატიფიკაციას.
4. ნებისმიერ სახელმწიფოს და ეკონომიკური ინტეგრაციის რეგიონალურ ორგანიზაციას, რომლებსაც არ მოუწერიათ ხელი წინამდებარე კონვენციისათვის, შეუძლიათ მიიღონ იგი, დაამტკიცონ ან შეუერთდნენ მას ნებისმიერ დროს.
5. სარატიფიკაციო სიგელები და მიღების, დამტკიცების ან შეერთების შესახებ დოკუმენტები შესანახად ბარდება სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაციას, რომელიც წინამდებარეთი დეპოზიტარად ინიშნება.
6. წინამდებარე კონვენცია ძალაში შედის დეპოზიტარისათვის ოცდამეათე სარატიფიკაციო სიგელის, მიღების, დამტკიცების ან შეერთების შესახებ დოკუმენტის შესანახად გადაცემის თარიღიდან მესამოცე დღეს იმ სახელმწიფოებისათვის, რომლებმაც შესანახად გადასცეს ეს დოკუმენტები. ეკონომიკური ინტეგრაციის რეგიონალური ორგანიზაციის მიერ შესანახად გადაცემული დოკუმენტი მხედველობაში არ მიიღება ამ პუნქტის მიზნებისათვის.
7. სხვა სახელმწიფოებისათვის და სხვა ეკონომიკური ინტეგრაციის რეგიონალური ორგანიზაციებისათვის წინამდებარე კონვენცია ძალაში შედის სარატიფიკაციო სიგელის, მიღების, დამტკიცების ან შეერთების შესახებ დოკუმენტის შესანახად გადაცემის თარიღიდან მესამოცე დღეს.
8. დეპოზიტარი დაუყოვნებლივ ატყობინებს კონვენციის ხელმომწერ ყველა სახელმწიფოს და ყველა მონაწილე სახელმწიფოს:
 - a) წინამდებარე კონვენციის ყოველი ხელმომწერის შესახებ და ასეთი ხელმომწერის თარიღს;
 - b) ყოველი სარატიფიკაციო სიგელის, მიღების, დამტკიცების ან შეერთების შესახებ დოკუმენტის შესანახად გადაცემის შესახებ;
 - c) წინამდებარე კონვენციის ძალაში შესვლის თარიღს;
 - d) წინამდებარე კონვენციის შესაბამისად დადგენილი პასუხისმგებლობის ფარგლების ნებისმიერი შეცვლის ძალაში შესვლის თარიღს;
 - e) 54-ე მუხლის შესაბამისად ნებისმიერი დენონსაციის შესახებ.

მუხლი 54
დენონსაცია

1. ნებისმიერ მონაწილე სახელმწიფოს შეუძლია წინამდებარე კონვენციის დენონსაცია დეპოზიტარისათვის წერილობითი შეტყობინების გაგზავნის გზით.
2. დენონსაცია ძალაში შედის დეპოზიტარის მიერ ასეთი შეტყობინების მიღების თარიღიდან ას ოთხმოცი დღის შემდეგ.

მუხლი 55
კავშირი ვარშავის კონვენციის სხვა დოკუმენტებთან

წინამდებარე კონვენციას უპირატესი ძალა აქვს საერთაშორისო საჰაერო გადაზიდვასთან დაკავშირებულ ნებისმიერ წესებთან შედარებით, რომლებიც გამოიყენება:

1. წინამდებარე კონვენციის მონაწილე სახელმწიფოებს შორის იმის საფუძველზე, რომ ეს სახელმწიფოები არიან მონაწილენი:

- a) საერთაშორისო საჰაერო გადაზიდვასთან დაკავშირებული ზოგიერთი წესის უნიფიკაციის შესახებ კონვენციისა, რომელსაც 1929 წლის 12 ოქტომბერს მოაწერეს ხელი ვარშავაში (შემდგომში წოდებული ვარშავის კონვენციად);
- b) საერთაშორისო საჰაერო გადაზიდვასთან დაკავშირებული ზოგიერთი წესის უნიფიკაციის შესახებ ვარშავის 1929 წლის 12 ოქტომბრის კონვენციაში ცვლილებების შესახებ ოქმისა, რომელიც შესრულებულია ჰააგაში 1955 წლის 28 სექტემბერს (შემდგომში წოდებული ჰააგის ოქმად);
- c) კონვენციისა, რომელიც დაემატა იმ საერთაშორისო საჰაერო გადაზიდვასთან დაკავშირებული ზოგიერთი წესის უნიფიკაციის შესახებ ვარშავის კონვენციას, რომელსაც ახორციელებს პირი, არა ხელშეკრულებით გადამზიდველი, რომელსაც ხელი მოაწერეს გვადალახარაში 1961 წლის 18 სექტემბერს (შემდგომში წოდებული გვადალახარის კონვენციად);
- d) 1955 წლის 28 სექტემბერს ჰააგაში შესრულებული ოქმით შეცვლილ საერთაშორისო საჰაერო გადაზიდვასთან დაკავშირებული ზოგიერთი წესის უნიფიკაციის შესახებ ვარშავის 1929 წლის 12 ოქტომბრის კონვენციაში ცვლილებების შესახებ ოქმისა, რომელსაც ხელი მოაწერეს გვატემალაში 1971 წლის 8 მარტს (შემდგომში წოდებული გვატემალის ოქმად);
- e) ჰააგის ოქმით შეცვლილ ვარშავის კონვენციაში ან ჰააგისა და გვატემალის ოქმებით შეცვლილ ვარშავის კონვენციაში ცვლილებების შესახებ №1-3 დამატებითი ოქმებისა და მონრეალის №4 ოქმისა, რომლებსაც ხელი მოაწერეს მონრეალში 1975 წლის 25 სექტემბერს (შემდგომში წოდებული მონრეალის ოქმებად); ან

2. წინამდებარე კონვენციის ნებისმიერი ცალკეული მონაწილე სახელმწიფოს ტერიტორიის ფარგლებში იმის საფუძველზე, რომ ეს სახელმწიფო მონაწილეობს ზემოთ „ა“ - „ე“ ქვეპუნქტებში ნახსენებ ერთ ან რამდენიმე დოკუმენტში.

მუხლი 56
სახელმწიფოები, რომლებსაც ერთზე მეტი
სამართლებრივი სისტემა აქვთ

1. თუ სახელმწიფოს ორი ან მეტი ტერიტორიული ერთეული აქვს, სადაც წინამდებარე კონვენციით რეგულირებული საკითხების მიმართ სხვადასხვა სამართლებრივი სისტემა გამოიყენება, მას შეუძლია ხელმოწერის, რატიფიკაციის, მიღების, დამტკიცების ან შეერთების მომენტში განაცხადოს, რომ წინამდებარე კონვენცია ვრცელდება მის ყველა ტერიტორიულ

ერთეულზე ან მხოლოდ ერთ ან უმეტეს მათგანზე და შეუძლია ეს განცხადება შეცვალოს და ნებისმიერ დროს წარმოადგინოს სხვა განცხადება.

2. ნებისმიერი ასეთი განცხადება უნდა ეცნობოს დეპოზიტარს და მასში ცხადად უნდა იყოს მითითებული ტერიტორიული ერთეულები, რომლების მიმართაც გამოიყენება კონვენცია.

3. ასეთი განცხადების წარმომდგენი მონაწილე სახელმწიფოს მიმართ:

- a) 23-ე მუხლში მოხსენიებული „ეროვნული ვალუტა“ გულისხმობს ამ სახელმწიფოს შესაბამისი ტერიტორიული ერთეულის ვალუტას; და
- b) 28-ე მუხლში მოხსენიებული „ეროვნული კანონმდებლობა“ გულისხმობს ამ სახელმწიფოს შესაბამისი ტერიტორიული ერთეულის კანონმდებლობას.

მუხლი 57 დათქმები

წინამდებარე კონვენციის მიმართ არანაირი დათქმები არ დაიშვება, გარდა იმისა, რომ მონაწილე სახელმწიფოს შეუძლია ნებისმიერ დროს განაცხადოს დეპოზიტარისათვის შეტყობინების გზით, რომ წინამდებარე კონვენცია არ ვრცელდება:

- a) საერთაშორისო საჰაერო გადაზიდვაზე, რომელსაც უშუალოდ ეს მონაწილე სახელმწიფო ასრულებს არაკომერციული მიზნებით თავისი, როგორც სუვერენული სახელმწიფოს ფუნქციებისა და მოვალეობების განხორციელებასთან დაკავშირებით; და/ან
- b) პირთა გადაყვანაზე, ტვირთისა და ბარგის გადაზიდვაზე, რომელიც ხორციელდება სამხედრო ხელისუფლებისათვის ამ მონაწილე სახელმწიფოში რეგისტრირებული ან მის მიერ იჯარით აღებული საჰაერო ხომალდებით, რომლებიც რეზერვირებულია ამ ხელისუფლების მიერ ან მათი სახელით.

რის დასტურადაც ქვემოთხელმომწერი სრულუფლებიანი წარმომადგენლები, საამისოდ სათანადოდ უფლებამოსილნი, ხელს აწერენ წინამდებარე კონვენციას.

შესრულებულია მონრეალში ათას ცხრაას ოთხმოცდაცხრამეტი წლის მაისის თვის 28-ე დღეს რუსულ, ინგლისურ, არაბულ, ესპანურ, ჩინურ და ფრანგულ ენებზე, ამასთან ყველა ტექსტი თანაბრად აუთენტურია. წინამდებარე კონვენცია შესანახად რჩება სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაციის არქივებში, ხოლო მის დამოწმებულ ასლებს დეპოზიტარი უგზავნის წინამდებარე კონვენციის ყველა მონაწილე სახელმწიფოს, აგრეთვე ვარშავის კონვენციის, ჰააგის ოქმის, გვადალახარის კონვენციის, გვატემალის ოქმის და მონრეალის ოქმების ყველა მონაწილე სახელმწიფოს.